

სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში პლაგიატის Turnitin-ის პროგრამის გამოყენების წესი

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 4 დეკემბერი N 53/20 ოქმით

1. ზოგადი დებულებები:

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს და არეგულირებს საქართველოს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის (შემდგომში „სკოლის“) ფარგლებში აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- 1.2. აკადემიური კეთილსინდისიერების დებულების დაცვა და განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის სკოლის ფარგლებში შესრულებულ ნაშრომებზე - სემესტრულ ნაშრომებზე, მათ შორის, რეფერატებზე, ესსეებზე, კვლევით პროექტებზე და საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომებზე.

2. რა არის პლაგიატი და პლაგიატის ფორმები:

პლაგიატი ეს არის (აკადემიური სიყალბე) სხვისი ნაშრომის ან იდეების მითვისება, წყაროს მითითების გარეშე ან არასწორი წყაროს მითითების შემთხვევა. სტუდენტის მიერ ატვირთული ნაშრომი შეფასდება შესაბამის ელექტრონულ პორტალზე (Turnitin).

2.1. პირდაპირი პლაგიატი - სხვისი ნამუშევრის (იქნება ეს იდეა, ნაწერი, გამოსახულება, გრაფიკი თუ მონაცემი) მითვისება ავტორის მითითების გარეშე, წყაროდან ზუსტად გადმოწერა ბრჭყალებში ჩასმის ან სხვა ტიპის მითითების გარეშე, რომელიც ციტირებულ ტექსტს ნათლად გამოყოფს ავტორის ტექსტიგან. სხვისი ნაშრომის მითვისების შემთხვევებში შედის სხვისი ნებართვით გადაწერაც. პლაგიატის განსაზღვრა ამ შემთხვევაში ხდება ორიგინალური ცოდნის პოზიციიდან. პლაგიატი, როგორც აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფორმა, ნაშრომის ორიგინალურობასთან დაკავშირებით არასწორ/ცრუ წარმოდგენას ქმნის (IPPHEAE.”-2015). მითვისება შეიძლება შეეხოს რამდენიმე ფრაზას, სეგმენტებს ან მთლიან ნაშრომს.

2.2. პარაფრაზირებული პლაგიატი - სხვისი მოსაზრებების პარაფრაზი ავტორის ერთმნიშვნელოვანი მითითების გარეშე. პარაფრაზირებული პლაგიატია ასევე პარაფრაზისას ავტორის სიტყვების უმნიშვნელო ცვლილება, რაც ავტორობის საკითხს ბუნდოვანს ხდის. პარაფრაზისას ზუსტად უნდა ჩანდეს, ვის იდეას ეხმაურება ავტორი და როდის. ტექსტში ან ტექსტის ბოლოს წყაროს მოხსენიება ამგვარ შემთხვევებში საკმარისი არ არის, რომ განირჩეს, სად არის პარაფრაზი და სად - ორიგინალური მოსაზრებები. ზოგჯერ პარაფრაზისას განხორციელებული ცვლილება იმდენად ახლოს რჩება ორიგინალის ტექსტთან, რომ მათი განსხვავება შეუძლებელი ხდება, მაგრამ პარაფრაზის გამო ბრჭყალებში არ არის ჩასმული.

2.3. მოზაიკური პლაგიატი - მოზაიკური პლაგიატისას სხვადასხვა წყაროებიდან აღებული მოსაზრებები ისეა გაერთიანებული, რომ ცალკეული ავტორები მითითებული არ არის. სხვადასხვა ავტორების შეჯამება კონკრეტული წყაროების მითითების გარეშე განიმარტება როგორც მოზაიკური პლაგიატი. მას ასევე უწოდებენ “patch writing.”

სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში პლაგიატის Turnitin-ის პროგრამის გამოყენების წესი

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 4 დეკემბერი N 53/20 ოქმით

მოზაიკური პლაგიატა, როდესაც ზოგიერთ შემთხვევაში ნაშრომის ბოლოს არის ხოლმე ესა თუ ის მეცნიერი/ავტორი მითითებული, მაგრამ ტექსტის კითხვისას შეუძლებელია გარჩევა, სად სრულდება ნაწერის ავტორის ორიგინალური მოსაზრება და სად არის ჩასმული ციტატები.

2.4. პლაგიატი დაუდევრობით - არასწორი ციტირება დაუდევრობის გამო. ავტორების ან წყაროების მითითებისას მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამორჩენა ან არევა.

2.5. თვითპლაგიატი - ერთი და იმავე ნაშრომის ან ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილების ორჯერ ან მეტჯერ წარდგენა/გამოქვეყნება საკუთარი ნაშრომის ციტირების ან შესაბამისი მითითების და უფლების მოპოვების გარეშე. თვითპლაგიატის შემთხვევებია ერთი და იგივე თავების განმეორება სხვადასხვა პუბლიკაციებში შესაბამისი მითითების გარეშე, სტუდენტების შემთხვევაში თვითპლაგიატად ითვლება ერთი და იმავე ნაშრომის წარდგენა სხვადასხვა მიზნებისთვის (სხვადასხვა კურსის, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში).

2.6. საავტორო უფლებების დარღვევა - სხვისი ნამუშევრის გამოყენება საავტორო უფლებების მოპოვების გარეშე. პლაგიატი ეთიკური პრობლემაა, საავტორო უფლებების დარღვევა უკვე დანაშაულია, რომელიც კანონით რეგულირდება. საავტორო უფლებების დარღვევის წინაპირობაა ამა თუ იმ იდეაზე, საგანზე, მეთოდზე და ა. შ. საავტორო უფლების არსებობა.

2.7. ფარული თანამშრომლობა სხვების მოტყუების მიზნით - სხვების სხვების მოტყუების მოტყუების მიზნით აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფორმა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს არაუფლებამოსილ/არასანქცირებულ თანამშრომლობას, მიღებული დახმარების არაღიარებას, ჯგუფურ პროექტზე მუშაობისთვის დადგენილი წესების არ გათვალისწინებას. ჯგუფური პროექტების განხორციელებისას მონაწილის პასუხისმგებლობაა ზუსტად იცოდეს თანამშრომლობისთვის დაშვებული საზღვრები და სამუშაოს ის ნაწილი, რომელიც მისთვისაა განკუთვნილი.

3. სტუდენტთა ინფორმირებულობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების მნიშვნელობის შესახებ

3.1. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის მიზნით, სკოლა ატარებს ერთიან პოლიტიკას აღნიშნული პრინციპების მნიშვნელობისა და ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად.

3.2. პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით სტუდენტმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

1. ციტატატის ბრჭყალებით გამოყოფა, წყაროების APA- სტილით დამოწმება.

სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში პლაგიატის Turnitin-ის პროგრამის გამოყენების წესი

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 4 დეკემბერი N 53/20 ოქმით

2. პარაფრაზისა და რეზიუმირების დროს წინადადების სტრუქტურის შეცვლა და საკუთარი სიტყვებით ძირითადი აზრის ჩამოყალიბება
3. ავტორის დამოწმება (ნაშრომი, გამოცემის წელი, გამომცემლობა, შესაბამისი გვერდის მითითება)
4. პერიფრაზი (წყაროს გამინაარსების შემთხვევაშიც დასახელებული უნდა იქნას შესაბამისი ავტორი ან ნაშრომი)
5. რეზიუმირება.
6. ინტერნეტში გამოყენებული წყაროების ან სტატიების დამუშავების შემთხვევაში დოკუმენტში გამოქვეყნებული ნაშრომის სათაურის, ლინკის, ლინკის ნახვის დროს მითითება.

3.3. პლაგიატის პრევენციის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესრულებული კვლევითი ნაშრომები, რეფერატები, ესეები, საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომები მოწმდება შესაბამისი პროგრამის (Turnitin) მეშვეობით.

3.4. წინამდებარე წესი ვრცელდება ასევე სტუდენტების მიერ ერთმანეთის ნაშრომების გადაწერის შემთხვევებზე (პლაგიატის სანქცია ვრცელდება დავალების/ნაშრომის ორივე ავტორზე); იმ შემთხვევაში თუ დადგინდა, რომ სტუდენტებს აქვთ იდენტური ნაშრომები, ორივე ნაშრომი ნულდება.

3.5. პლაგიატის/მსგავსების დადგენის შესახებ იწერება შესაბამისი დასკვნა.

3.6. სემესტრული ნაშრომების - რეფერატების/ესეების/კვლევითი ნაშრომების და საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების შემთხვევაში პლაგიატის მაქსიმალური ზღვარი წარმოადგენს 15%.

3.7. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შემთხვევაში წინასწარი განაცხადისა და საბოლოო ნაშრომის აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხი რეგულირდება შემდგენაირად:

1. საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განაცხადი იტვირთება პლაგიატზე Turnitin პროგრამის გამოყენებით, ხელმძღვანელი ამოწმებს ნაშრომს (დადგენილი მაქსიმალური მაჩვენებელი -15%) და ადგენს შესაბამისობას უნივერსიტეტში დადგენილ მოთხოვნებთან. პლაგიატის დადგენის შემთხვევაში (რომელიც აღემატება დადგენილ 15%-ს), სტუდენტს უნულდება წინასწარი განაცხადის შეფასება.
2. სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განაცხადი იტვირთება პლაგიატზე Turnitin პროგრამის გამოყენებით, ხელმძღვანელი ამოწმებს ნაშრომს (დადგენილი მაქსიმალური მაჩვენებელი -15%) და ადგენს შესაბამისობას უნივერსიტეტში დადგენილ მოთხოვნებთან. პლაგიატის დადგენის შემთხვევაში (რომელიც

სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში პლაგიატის Turnitin-ის პროგრამის გამოყენების წესი

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 4 დეკემბერი N 53/20 ოქმით

აღემატება დადგენილ 15%-ს), სტუდენტი წყვეტს მუშაობას ნაშრომზე და კარგავს შემდეგ ეტაპზე გადასვლის უფლებას.

3. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი დასრულებული სახით ეგზავნება ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს, რომელიც 1 კვირის ვადაში ამოწმებს ნაშრომს პლაგიატზე Turnitin პროგრამის გამოყენებით და ადგენს შესაბამისობას უნივერსიტეტში მოქმედ მოთხოვნებთან. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის დადგენის შემთხვევაში (რომელიც აღემატება დადგენილ 15%-ს) სტუდენტი ნაშრომი ეთვლება ჩავარდნილად.

- 3.8. სადოქტორო ნაშრომის თითოეული ნაწილი (სემესტრების მიხედვით წარმოსადგენი კვლევითი კომპონენტი) მოწმდება პლაგიატზე Turnitin-ის პროგრამის გამოყენებით და პლაგიატის დადგენის შემთხვევაში (რომელიც აღემატება 15%-ს), ნაშრომი ითვლება ჩავარდნილად.

- 3.9. თვითპლაგიატისა და დაუდევრობით პლაგიატის შემთხვევაში საკითხის განხილვა ხდება სკოლის საბჭოზე დოქტორანტის და/ან ხელმძღვანელის განაცხადის საფუძველზე სკოლის საბჭოს შესაბამის დარგობრივ წევრებთან ერთად გადაიხედება ნაშრომი. ასევე, დაუდევრობით პლაგიატის შემთხვევაში შესაძლებელია სტუდენტს მიეცეს გაფრთხილება და ვადა გამოსასწორებლად.

- 3.10. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში სტუდენტის მიმართ მოხდება სანქციების გამოყენება აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის შესაბამისად.

4. დასკვნითი დებულებები

4.1. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე წესით, რეგულირდება საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით.

4.2. წინამდებარე დოკუმენტში ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება ხორციელდება სკოლის საბჭოს მიერ და მტკიცდება რექტორის საბჭოზე.

4.3. წინამდებარე დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.